



სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 72401, ელ. ფოსტა: info@tesau.edu.ge

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

**ახალი და უახლესი ისტორია
Modern and Contemporary History**

მიმართულება: 10 ჰუმანიტარული მეცნიერებანი

სპეციალობა: 1004 ისტორია

ქვედარგი: 100405 ახალი და უახლესი ისტორია

პროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი გოცირიძე, ისტორიის დოქტორი, პროფესორი

1. ცვლილებები შტანილია ფაკულტეტის საბჭოს მიერ
ოქმი №7, 23 მარტი, 2018 წ.

ფაკულტეტის დეკანი

/პროფ. ნ. კოჭლოშვილი/

2. ცვლილებები შტანილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების
მიერ
ოქმი №11, 23 მარტი, 2018 წ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი

/ასოც. პროფ. შალვა ჭკადუა/

3. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი №15, 23 მარტი, 2018 წ.
უნივერსიტეტის რექტორი

/ასოც. პროფ. ი. შიოშვილი/

2018

ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

დეპარტამენტი: ისტორიის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ახალი და უახლესი ისტორია (Modern and Contemporary History)

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი გოცირიძე, ისტორიის დოქტორი, პროფესორი;
ტელ.: 0350 27 07 50 მობ. ტელ: 599 27 66 47

აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა (III საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ისტორიის დოქტორი (Doctor of History)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 კრედიტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული მისაღები გამოცდების საფუძველზე სპეციალობასა და უცხო ენაში. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი უცხო ენის (რუსული, ინგლისური) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. დოქტორანტი თავისუფლდება უცხო ენის გამოცდის ჩაბარებიდან არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში: ა) ინგლისური ენის მიმართულებით - TOEFL IBT 72-94 (72 - ქვედა ზღვარი); TOEFL ITP – 543; IELTS 5.0 – 6.0 (5.0 - ქვედა ზღვარი); ბ) რუსული ენის მიმართულებით - ТРКИ-2.

ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობაა სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობები.

საგამოცდო საკითხები ქვეყნდება თესაუ-ს ვებგვერდზე www.tesau.edu.ge.

სტუდენტი აფორმებს უნივერსიტეტთან ხელშეკრულებას, გადის აკადემიურ და ადმინისტრაციულ რეგისტრაციას.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირის მომზადება ახალი და უახლესი ისტორიის დარგში, რომელსაც მაღალ დონეზე, ღრმად, ფუნდამენტურად ექნება ათვისებული დასახელებულ დარგში როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე მიდგომები და კვლევითი მეთოდები; შეეძლება სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოების დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა, ასევე დარგის დისციპლინების სწავლება უმაღლეს სასწავლებელში.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	დოქტორანტს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ საფუძვლიანად, ღრმად აქვს ათვისებული ახალი და უახლესი ისტორიის შესახებ უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა, რაც მას არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას აძლევს. დოქტორანტი არსებული ცოდნის ხელახლად გააზრების გზით კარგად
------------------------------	--

	<p>აცნობიერებს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხთა მრავალფეროვნებას და ისტორიული ხედვების განსხვავებულობას სხვადასხვა პერიოდსა და კონტექსტში, რაც მას საშუალებს აძლევს კვლევისათვის აირჩიოს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა; შეუძლია დოქტორანტმა იცის კვლევის მეთოდები პუბლიკაციების საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მოსამზადებლად; ფლობს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>დოქტორანტს შეუძლია: კვლევის შედეგების სამეცნიერო საზოგადოებისათვის გაცნობა, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაწერა, დროის შესაბამისი თემატიკის განსაზღვრა, მომავალში ახალი სამეცნიერო კადრების მომზადება; ახალ და უახლეს ისტორიაში ახალი ცოდნის მიღებასთან დაკავშირებული საკითხების, ორიგინალური კვლევების დამოუკიდებლად, სრულყოფილად განახორციელება, მუშაობის სწორად წარმართვისათვის ზედამხედველობის გაწევა, ორიგინალური სამეცნიერო ნაშრომის დასრულებული სახით წარმოდგენა; დღევანდელ ისტორიულ მდგომარეობასა და წარსულს შორის კავშირის კრიტიკული აღქმა; თანამედროვე კვლევითი მეთოდების გამოყენება კვლევის სხვადასხვა ვარიანტებში, რაც ახლის აღმოჩენასთანაა დაკავშირებული და შესაძლებლობას აძლევს დოქტორანტს მიღებული შედეგები ასახოს საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში / სამეცნიერო კონფერენციებში და სადისერტაციო ნაშრომში; შეუძლია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, საჭირო ინფორმაციის მოძიება, მიღებული ინფორმაციის დამუშავება და სხვებისათვის გადაცემა; ორიგინალური დოკუმენტებისა და ისტორიული საბუთების კითხვა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>დოქტორანტს შეუძლია: ისტორიული მოვლენების ანალიზი, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, საკუთარი შეხედულებების დაცვა და დასაბუთება; ახალი, რთული წინააღმდეგობრივი მოსაზრებების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება; კვლევის სწორად, კრიტიკულად წარმართვის საფუძველზე სწორი, მიზანმიმართული დასკვნების გამოტანა, ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება და დარგის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, კომპლექსური ისტორიული ინფორმაციის თანმიმდევრულად გადმოცემა. დოქტორანტს აქვს დარგში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად სწორი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>დოქტორანტს შეუძლია: ახალი ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოდგენა უკვე არსებულ ცოდნასთან კავშირში; ქართულ და უცხოურ ენებზე კომუნიკაცია დარგის სპეციალისტებთან: სამეცნიერო კონფერენციებზე მოხსენებების წარდგენა, საკუთარი შეხედულებების დაცვა და დასაბუთება.</p>
	<p>დოქტორანტს შეუძლია: ახალი და უახლესი ისტორიის სფეროში უახლეს</p>

სწავლის უნარი	მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ძიება, დამოუკიდებლად პრობლემური საკითხების დასმა, გადაწყვეტა და შემდგომი განვითარება მეცნიერულ დონეზე, დარგის მიღწევებისა და თანამედროვე გლობალური პროცესების ანალიზი.
ღირებულებები	დოქტორანტი კვლევის პროცესში სწავლობს რა სხვადასხვა ქვეყნებს, მათ კულტურას, ამკვიდრებს მათდამი პატივისცემისა და ტოლერანტობის პრინციპებს, მეცნიერული დაკვირვებების საფუძველზე შეუძლია განსაზღვროს ძირითადი ღირებულებები და საქმიანობის საფუძველზე შეიმუშაოს ახალი მეთოდები ამ ღირებულებათა დასამკვიდრებლად. მუშაობის პროცესში პატივს სცემს განსხვავებულ აზრს, ამკვიდრებს აკადემიური ეთიკის ფასეულობებს, შეუძლია არამარტო ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიება, არამედ მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

სწავლის შედეგების რუკა

№	სასწავლო კურსები/კომპონენტები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნისპრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
სასწავლო კომპონენტი							
1	მსოფლიოს ახალი და უახლესი ისტორია	X	X	X	X	X	X
2	საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია	X	X	X	X	X	X
3	კვლევის მეთოდები (ჰუმანიტარულ მეცნიერებებში)	X	X	X	X	X	X
4	სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	X	X	X	X	X	
5	პროფესორის ასისტენტობა		X	X	X	X	X
6	სემინარი I	X	X	X	X	X	X
7	სემინარი II	X	X	X	X	X	X
9	უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა	X	X	X	X	X	X
10	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა სწავლებაში და ელექტრონული კურსების	X	X	X	X	X	X

	შექმნა						
1 1	მენეჯმენტი	X	X	X	X	X	X
კვლევითი კომპონენტი							
1	სადისერტაციო ნაშრომი	X	X	X	X	X	X

სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები:

სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები – ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.); კერძოდ, სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები და აქტივობები:

- ❖ ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი – ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე.
- ❖ წიგნზე მუშაობის მეთოდი - ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. დოქტორანტი სურვილის მიხედვით ამუშავებს რეფერატურულ ნამუშევრებს, ან სამეცნიერო სტატიებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის.
- ❖ გონებრივი იერიში - მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.
- ❖ დისკუსია – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს დოქტორანტის აქტივობას. პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს დოქტორანტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- ❖ ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- ❖ ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
- ❖ შემთხვევის ანალიზი - პროფესორი სტუდენტთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლის დროსაც ხდება საკითხის ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლა.

- ❖ ინდუქციური მეთოდი - განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- ❖ დედუქციური მეთოდი - განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- ❖ ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო/კვლევითი მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხის დეტალური გაშუქება.
- ❖ სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის, დანახვის უნარის განვითარებას.
- ❖ სინქრონული მეთოდი გულისხმობს მოვლენებისა და ობიექტების ერთობლიობის განხილვას, როგორც გარკვეულ ვარიაციებს ერთსა და იმავე დროის ჭრილში.
- ❖ დიაქრონული მეთოდი გულისხმობს მოვლენების განხილვას მათ ისტორიულ განვითარებასა და მოძრაობაში.
- ❖ შედარებითი (კომპერატიული) მეთოდი - ისტორიული ობიექტების დროში შედარება, მსგავსებებისა და განსხვავებების ანალიზი და დადგენა.
- ❖ სისტემური მეთოდი - კვლევის პროცესში მოპოვებული მასალისაგან განზოგადებული მოდელის აგება, რომელიც აირეკლავს საზოგადოებრივი ურთიერთობების, ისტორიული პროცესის თანმდევი საზოგადოებრივი ძვრების, ანდა მიმდინარე მოვლენების რეალურ სიტუაციას.
- ❖ ტიპოლოგიური მეთოდი - ისტორიული მოვლენებისა და პროცესების კლასიფიკაცია.
- ❖ რეტროსპექტული მეთოდი - წარსულში თანდათანობით შესვლა იმ მიზნით, რომ გამოვააშკარაოთ წარსულში მომხდარი ისტორიული მოვლენების რეალური მიზეზები.
- ❖ ლოგიკური მეთოდი - მოვლენების ობიექტური ანალიზის გაკეთება იმ მიზნით, რომ გავიგოთ ისტორიული განვითარების სტადიები და დავადგინოთ ცალკეული ისტორიული ეტაპების საზღვრები.
- ❖ იდეოგრაფიული მეთოდი - ისტორიული მოვლენებისა და ობიექტური ფაქტობრივი მასალის თანამიმდევრობითი აღწერა.
- ❖ ქრონოლოგიური მეთოდი - ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიურ რიგში შესწავლა;
- ❖ ქრონოლოგიურ-პრობლემური მეთოდი - ქრონოლოგიური მოვლენების შიგნით არსებული პრობლემების ჩაღრმავებულად და გამოყოფილად შესწავლა;
- ❖ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი - აწმყოდან დღევანდლობის ჩათვლით წარსულის კვლევა-ძიება ისტორიული მოვლენების და პროცესების შედარებითი ანალიზის გამოყენება;
- ❖ **ლექცია** - საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემის ძირითადი საშუალება, რომლის დროსაც გამოყენებულია აუდიტორიასთან ინტერაქტიული კომუნიკაციის ფორმები.

❖ **პროფესორის ასისტენტობა** – დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში.

პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს შემდეგს: სემინარებისა და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადებას; სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირებას; საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობას, კურატორობას.

❖ **სემინარი** - სემინარი ითვალისწინებს განსახილველი საკითხის საფუძვლიანად დამუშავებას და მოხსენების მომზადებას. სასემინარო მოხსენებისათვის პროგრამის ფარგლებში არსებული სპეციალობის საგნებიდან დოქტორანტის მიერ შეირჩევა რომელიმე აქტუალური საკითხი, რომლის დამუშავება საჭიროებს ლექციებზე გაშუქებული კონცეფციებისა და დებულებების, მითითებული ლიტერატურისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გაცნობა-ანალიზს, სამეცნიერო პრობლემის კვლევის შესახებ თანამედროვე მდგომარეობის ცოდნას, საკითხისადმი საკუთარი პოზიციის გამოხატვას. სემინარული მუშაობისას უნდა გადამოწმდეს, თუ რამდენად მართებულად აღიქვამს დოქტორანტი შერჩეულ პრობლემატიკას. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს მისი დისერტაციის შემადგენელი ნაწილი.

❖ **პრეზენტაცია** - დოქტორანტის მიერ შესწავლილი თემებისა და გაწეული სამუშაოს ფარგლებში მომზადებული კონკრეტული საკითხის წარმოდგენა ვიზუალური საშუალებების გამოყენებით (თანამედროვე ტექნოლოგიები, რუკები, დიაგრამები, ცხრილები და სხვ.).

კვლევითი კომპონენტი მოიცავს: სადისერტაციო ნაშრომს, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების მესამე საფეხურის დამამთავრებელი ეტაპია და მისი მიზანია სპეციალობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და კონკრეტული სამეცნიერო ამოცანების დასაბუთებული გადაწყვეტა. ნაშრომმა უნდა გამოავლინოს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის მეთოდებისა და დაუფლების დონე და მომავალი პროფესიული საქმიანობის პირობებში სტუდენტის მზადყოფნა დამოუკიდებელი მუშაობისთვის. ნაშრომის შესრულებას ხელმძღვანელობს გამოცდილი სამეცნიერო/აკადემიური პერსონალი.

დისერტაცია უნდა ასახავდეს კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელსაც წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში.

დასაქმების სფერო: დოქტორის აკადემიური ხარისხი ასოცირდება აკადემიურ და/ან კვლევით საქმიანობასთან, შესაბამისად, დოქტორი შეიძლება დასაქმდეს სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში აკადემიურ თანამდებობებზე, პედაგოგად, მთავარ, წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, არქივებში, მუზეუმებში. გარდა ამისა, მან შეიძლება იმუშაოს ხელმძღვანელად ან მთავარ სპეციალისტად საჯარო სამსახურში, სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვ.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტში არსებობს სათანადო მატერიალური რესურსი, ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა. ეს ყოველივე, დოქტორანტებს საშუალებას აძლევს მიეწოდოთ პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაცია. სალექციო აუდიტორიებში შექმნილია სწავლისთვის ადექვატური გარემო.

უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს წიგნსაცავი, სააბონენტო და სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ტექნიკა, სააქტო და საპრეზენტაციო დარბაზები, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული), რომელიც სისტემატურად მდიდრდება უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ახალი წიგნებითა და სხვა რესურსებით. ბიბლიოთეკა ჩართულია შემდეგ სისტემებში: 1. EBSCO; Cambridge University Journals; Oxford Journals Collection; Encyclopedia Britannica Online: Academic Ediyion, ინტეგრირებულ ელექტრონულ კატალოგში (EVERGREEN), Elsevier. კომპიუტერულ ცენტრებში განთავსებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვა ტექნიკა (პრინტერები, სკანერები, ქსეროქსები და სხვა), რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის. გარდა ამისა, დოქტორანტებს საშუალება ეძლევათ, კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად ისარგებლონ პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბიბლიოთეკებით, საქართველოს სახელმწიფო არქივით, ხელნაწერთა ცენტრით, მუზეუმებით და სხვა, რომლებთანაც უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის შეფასების სისტემა რეგულირდება საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის შესახებ დებულებით.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით შემდეგი შეფასების სისტემის მიხედვით:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- 1) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91 და მეტი ქულა;
- 2) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- 3) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- 4) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- 5) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

1) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

2) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასება, გარდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვისა, მოხდება შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები (შუალედური შეფასებები განისაზღვრება ორი შუალედური გამოცდით (თითოეული მაქსიმუმ 20 ქულა) და ერთი პრეზენტაციით (მაქსიმუმ 20 ქულა) და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს 100 ქულას. მათ შორის:

შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;

დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით, გარდა სადისერტაციო ნაშრომისა. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, რომლებიც, თავის მხრივ, იზომება შეფასების კრიტერიუმებით. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც ასახულია საგნის სილაბუსებში. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) - შესანიშნავი ნაშრომი. (შერჩეული სადისერტაციო თემა ერთობ აქტუალურია, წარმოადგენს სერიოზულ მეცნიერულ სიახლეს, წარმოდგენილია სრულყოფილად, შემოქმედებითადაა დასმული პრობლემა / საკითხი და ამომწურავად და ადეკვატურად არის გადაწყვეტილი, ნაშრომი გაფორმებული და წარმოდგენილია სრულყოფილად, დოქტორანტი საუბრობს ფაქტებზე და არგუმენტებზე დაყრდნობით, რეგლამენტი დაცულია, კითხვებზე პასუხი სრულყოფილი, ამომწურავი და არგუმენტირებულია, ხოლო ტერმინოლოგია - სწორი).

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება. (შერჩეული სადისერტაციო თემა აქტუალურია, წარმოადგენს მეცნიერულ სიახლეს, წარმოდგენილია სრულყოფილად, სწორადაა დასმული პრობლემა / საკითხი და ამომწურავად და ადეკვატურად არის გადაწყვეტილი, ნაშრომი გაფორმებული და წარმოდგენილია სრულყოფილად, დოქტორანტი საუბრობს ფაქტებზე დაარგუმენტებზედაყრდნობით, რეგლამენტი დაცულია, კითხვებზე პასუხი სრულყოფილი, ამომწურავი და არგუმენტირებულია, ხოლო ტერმინოლოგია - სწორი).

გ) კარგი (*cum laude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; (შერჩეული სადისერტაციო თემა აქტუალურია, მეცნიერული სიახლე წარმოდგენილია მცირე ხარვეზებით, მოხსენებაში ადეკვატურად არის ასახული თემის ძირითადი პრობლემატიკა, საკითხის გააზრების საუბველზე გამოკვეთილია პრობლემა, რაც გადმოცემულია სრულყოფილად, ნაშრომი გაფორმებული და წარმოდგენილია კარგად, აზრები გადმოცემულია თანამიმდევრობით, ვიზუალური მასალა გაფორმებულია სრულყოფილად, პრეზენტაცია წარმოდგენილია საინტერესოდ, მაგრამ ხარვეზებით, რეგლამენტი დაცულია, კითხვებზე პასუხი სრულყოფილია, ძირითადად, არგუმენტირებულია და ტერმინოლოგიურად გამართულია).

დ) საშუალო (*bene*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. (შერჩეული სადისერტაციო თემა მეტ-ნაკლებად აქტუალურია, თუმცა წარმოდგენილია, ძირითადად, სრულყოფილად, შერჩეული სადისერტაციო თემის მეცნიერული სიახლე ნაკლებად იკვეთება, წარმოდგენილია ხარვეზებით, მოხსენებაში ადეკვატურადაა ასახული თემის ძირითადი პრობლემატიკა, მაგრამ გადმოცემისას დაშვებულია შეცდომები, ნაშრომი გაფორმებული და წარმოდგენილია მცირეოდენი ხარვეზებით - ვიზუალური მასალა გაფორმებული და წარმოდგენილია ხარვეზებით, პრეზენტაცია წარმოდგენილია გასაგებად, რეგლამენტი დაცულია, კითხვებზე პასუხი გაცემულია უშეცდომოდ, მაგრამ არასრულად, აკლია არგუმენტირებულობა, ტერმინოლოგია ნაკლოვანია).

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს. (შერჩეული სადისერტაციო თემა ნაკლებად აქტუალურია, მაგრამ საინტერესო, თემის შინაარსი, ძირითადად, საკმარისად არის საბოლოო შედეგებზე ორიენტირებული, თუმცა წარმოდგენილია არასრულყოფილად, მეცნიერული სიახლე ნაკლებადაა წარმოჩენილი, ნაშრომში დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული თემაში ასახული პრობლემა, შეინიშნება ხარვეზები და

აზრობრივი შეცდომები, ვიზუალური მასალა, მისი მიწოდების ტექნიკა და კითხვებზე პასუხები წარმოდგენილია დამაკმაყოფილებლად.

ვ) არადაკმაყოფილებელი (insufficient) - არადაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო. (შერჩეული სადისერტაციო თემა არ არის აქტუალური, თემის შინაარსი საკმარისად არ არის შედეგებზე ორიენტირებული, თემის მეცნიერული სიახლე არ ჩანს, ან წარმოდგენილია არასრულყოფილად, დისერტაციაში არ არის შესაბამისად გადმოცემული თემაში ასახული პრობლემა. დაშვებულია შეცდომები, ნაშრომი გაფორმებულია სერიოზული ხარვეზებით, ვიზუალური მასალა წარმოდგენილია ნაკლოვანებებითა და შეცდომებით, რეგლამენტი არ არის დაცული, პასუხი არასრულია და დაშვებულია შეცდომები, ტერმინოლოგია მცდარია).

ზ) სრულიად არადაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. (თემა საკითხთან შესაბამისობაში არ არის, შერჩეული სადისერტაციო თემა არ წარმოადგენს მეცნიერულ სიახლეს, ან არ არის წარმოდგენილი, პასუხი არასრულია და დაშვებულია შეცდომები, ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ნაშრომი გაფორმებულია სერიოზული ხარვეზებით, ვიზუალური მასალა არ არის წარმოდგენილი, ან არ შეესაბამება თემას, პასუხები არ შეესაბამება საკითხს, ან საერთოდ არ არის გაცემული).

დასახელებულიდან რომელიმეს მინიჭება ხდება კომისიის წევრთა შეთანხმების საფუძველზე.

ზემოთ მოყვანილი “ა”-“ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი, “ვ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლება, ხოლო “ზ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლებას.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას ახდენენ კოლეგიის წევრები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ნაშრომის მეცნიერული სიახლე, დასმული პრობლემის გადაწყვეტის ადეკვატურობა, ნაშრომის გაფორმება, დოქტორანტის პრეზენტაცია, დოქტორანტის მიერ კითხვებზე პასუხის გაცემა.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები: სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია 180 კრედიტი:

სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი, მათ შორის: სავალდებულო კურსები - 45 კრედიტი, არჩევითი/თავისუფალი კურსები - 15 კრედიტი;

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტი.

180 კრედიტი გადანაწილებულია 6 სემესტრზე (3 აკადემიური წელი), ერთი სემესტრი ითვალისწინებს 18 სასწავლო კვირას, ერთი კრედიტი უტოლდება სტუდენტის მუშაობის 25 საათს.

პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი/თავისუფალი კურსებისაგან. სავალდებულო სასწავლო კომპონენტი შეისწავლება პირველ სამ სემესტრში და მოიცავს ორ დარგობრივ სასწავლო კურსს, ორ დარგობრივ სემინარს, კვლევის მეთოდებს (ჰუმანიტარულ მეცნიერებებში), პროფესორის ასისტირებას, სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. არჩევითი/თავისუფალი კომპონენტი ასევე გათვალისწინებულია პირველ სამ სემესტრში - სტუდენტს შეუძლია აირჩიოს, როგორც ჩვენს მიერ შეთავაზებული, ისე დოქტორანტურის საფეხურზე გათვალისწინებული ნებისმიერი საგნები.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, როგორც წესი, იწყება მეორე სემესტრიდან და მთავრდება მეექვსე სემესტრში. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების მეორე სემესტრიდან დაწყება განპირობებულია დოქტორანტის საკითხში უკეთ გათვითცნობიერებულობით ამ დროისათვის.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მიზნად ისახავს სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებლად ჩატარების (დაგეგმვა-განხორციელების) პრაქტიკული ჩვევების გაღრმავებას, პროფესიული კვლევითი კულტურის ფორმირებასა და განვითარებას.

კვლევითი კომპონენტისათვის გათვალისწინებული **120** კრედიტი მოიცავს:

- სადისერტაციო ნაშრომის შესავალი ნაწილის შესრულება (375 სთ) - მეორე სემესტრი.
- სადისერტაციო ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნა (375 სთ) - მესამე სემესტრი.
- კვლევის შედეგად გამოკვეთილი თავების მომზადება, შედეგების ანალიზი და განზოგადოება (1500 სთ) - მეოთხე-მეხუთე სემესტრები.

სადოქტორო ნაშრომის საბოლოო სახის მიცემა და საჯაროდ დაცვა (750 სთ) - მეექვსე სემესტრი.

სადისერტაციო ნაშრომის შესავალი ნაწილის შესრულება მიეკუთვნება სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ნაწილს, რომელიც, როგორც წესი, სრულდება სწავლების მეორე სემესტრში. მისი მიზანია დოქტორანტის მიერ სადისერტაციო კვლევის პროექტის/გეგმის შემუშავება, წინასწარი მონახაზის შექმნა იმ კვლევისა, რომელიც მან დროის განსაზღვრულ პერიოდში უნდა დაასრულოს სადისერტაციო ნაშრომის სახით და დაიცვას საჯაროდ. სამუშაო ითვალისწინებს:

- ✓ დოქტორანტის მიერ შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის სწორად მოძიება-შერჩევას;
- ✓ საკითხის კვლევის ისტორიის გაცნობას.

დოქტორანტმა მოკლედ უნდა მიმოიხილოს, თუ რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით და რა კეთდება ამჟამად (ვინ მუშაობს და რა მიმართულებით); თავად რა წვლილს შეიტანს დარგის განვითარებაში (შერჩეული თემის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულებები). მასში უნდა ჩანდეს საკვლევი საკითხის მიზანი და ამოცანები, შესასწავლი/დასამუშავებელი პრობლემა; კვლევის ობიექტი; დისერტანტმა უნდა იცოდეს, თუ რა ტიპის რესურსებს (ლიტერატურა, სტატისტიკა...) დაეყრდნობა და სად შეიძლება ამ რესურსების მოძიება. მას, ასევე, დაგეგმილი უნდა ჰქონდეს კვლევის მეთოდოლოგია და ჩამოყალიბებული საკვლევი პრობლემატიკა.

ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ წარედგინება დარგის სპეციალისტებისაგან შემდგარ კომისიას, რომელიც იქმნება დეპარტამენტში და რომელსაც ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი.

სადისერტაციო ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნა.

მისი მიზანია დოქტორანტის მიერ კვლევისათვის საჭირო წყაროთმცოდნეობითი ბაზის მოძიება, მათი დამუშავება, გაანალიზება და სისტემატიზაცია. ეს სამუშაო ასევე მიეკუთვნება სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ნაწილს, რომელიც სრულდება სწავლების მესამე სემესტრში.

ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ წარედგინება დარგის სპეციალისტებისაგან შემდგარ კომისიას, რომელიც იქმნება დეპარტამენტში და რომელსაც ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი.

კვლევის შედეგად გამოკვეთილი თავების მომზადება, შედეგების ანალიზი და განზოგადოება მიეკუთვნება სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ნაწილს, რომელიც ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავებას და გაანალიზებას. სრულდება მეოთხე-მეხუთე

სემესტრებში. ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ წარედგინება დარგის სპეციალისტებისაგან შემდგარ კომისიას, რომელიც იქმნება დეპარტამენტში და რომელსაც ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი.

ზემოთდასახელებული აქტივობები არის ერთგვარი მონიტორინგი სადოქტორო კვლევის მიმდინარეობაზე. მათი ძირითადი მიზანია დოქტორანტის ცოდნის სისტემატიზაცია, გაღრმავება და გაფართოება; გაწეული მუშაობის პრეზენტაციის, კრეატიული აზროვნების, სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარების გამომუშავება.

დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობები: დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება, თუ შესრულებული აქვს სადოქტორო პროგრამის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების ყველა მოთხოვნა, ათვისებული აქვს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობა და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში გათვალისწინებული აქტივობები და აკმაყოფილებს პროგრამის მინიმალურ სტანდარტს - დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებული უნდა იყოს არანაკლებ სამი სამეცნიერო ნაშრომის სახით რეფერირებად ჟურნალში. აქედან, სავალდებულოა ერთი მაინც გამოქვეყნებული იყოს უცხოეთის რეფერირებად და/ან იმპაქტ ფაქტორის ხარისხის მქონე ჟურნალში და ერთი წარდგენილი იყოს კონფერენციაზე დისერტანტის მიერ და გამოქვეყნებული კონფერენციის შრომების კრებულში.

დისერტანტს წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს დებულებით გათვალისწინებული ყველა დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა იმის შესახებ, რომ ნაშრომი მზად არის საჯარო დაცვაზე წარსადგენად.

სადისერტაციო ნაშრომი - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებული სადისერტაციო ნაშრომის შემუშავებითა და საჯარო დაცვით. დოქტორანტმა უნდა განახორციელოს დამოუკიდებელი ორიგინალური/აქტუალური სამეცნიერო კვლევა არჩეულ დარგში. ნაშრომში იგი უნდა ასახავდეს თეორიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელსაც წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში; მან უნდა გამოავლინოს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის მეთოდების გამოყენებისა და მომავალი პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.

სადისერტაციო თემის შერჩევა, ძირითადად, ხდება დოქტორანტურაში სწავლის პირველი სემესტრის ბოლოს.

სადისერტაციო ნაშრომი სრულდება მე-2- მე-6 სემესტრების განმავლობაში. მეორე-მესამე-მეოთხე-მეხუთე სემესტრები ეთმობა დისერტაციის ძირითადი ნაწილის შესრულებას და სტატიების გამოქვეყნებას; მე-6 სემესტრი კი სრულდება სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვით.

მისაღები გამოცდის პროგრამა:

1. რუსეთთან აღმოსავლეთ საქართველოს შეერთების მანიფესტი. ბაგრატიონებისა და მათი დასის ბრძოლა ქართული სამეფოების შენარჩუნებისათვის 1801-1810 წლებში.
2. რუსეთ-ირანის (1804-1813წწ.) და რუსეთ-თურქეთის (1806-1812წწ.) ომები და საქართველო.
